ნინო ხვინგია
მტაცებელი ცხოველი დათვი

მტაცებელი ცხოველი დათვი

ნინო ხვინგია

თბილისის კლასიკური გიმნაზია

კლასი - III , IV

საგანი (საგნებისთვის) -ქართული-ბუნებისმეტყველება.

სასწავლო მიზნები - შეძლონ სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა, ინფორმაციის მოძიება და რანჟირება, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება.

მედიაწიგნიერების მიზანი

მედიაწიგნიერების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი

- ვიდეორგოლი
- ტექსტი - ,,ორი მეგობარი“
- ტექსტი - ირმა მალაციძის ,, თეთრი დათვი და ყინულოვანი ოკეანე”
- ადაპტირებული ტექსტი

გაკვეთილის მიმდინარეობა

აქტივობა 1. გონებრივი იერიში - რა იცით დათვის შესახებ.
სავარაუდო პასუხები: გარეული ცხოველი, მტაცებელი, დიდი, ნაირმჭამელი, უყვარს თევზი და თაფლი.



აქტივობა 2. ვიდეორგოლის ჩვენება. (იხ. დანართი) და მისი განხილვა

ა) მოსწავლეები უყურებენ მულტიპლიკაციურ ვიდეოს დათვზე.

ბ) მედიაწიგნიერების კითხვების გამოყენებით ხდება ვიდეოს განხილვა. განხილვა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ან მთელ კლასთან კითხვა პასუხით. შესაძლებელია ასევე ჯგუფური მუშაობაც.

კითხვა	სავარაუდო პასუხი
როგორია დათვის გარეგნობა?	დათვი დიდი და საყვარელია
როგორია ფილმში გამოყენებული მუსიკა?	ფილმში გამოყენებული მუსიკა მხიარულია
როგორ ასახავს ბავშვისა და დათვის ურთიერთობას მულტფილმში ავტორი? რა	ავტორი ცდილობს გვაჩვენოს დათვისა და ბავშვის მეგობრობა. ისინი ერთად

ნინო ხვინგია
მტაცებელი ცხოველი დათვი

აკეთებენ ერთად?	თამაშობენ, ცეკვავენ, ჭამენ, მდინარეში ბანაობენ.
ცხოვრებაში დათვთან შეიძლება ასე მოქცევა? რატომ?	ცხოვრებაში არ შეიძლება დათვთან ასეთი მოქცევა, რადგან ის მტაცებელი და საშიშია ადამიანისთვის. ასე რომ არ იყოს, მას ზოოპარკში კარგად დაცულ ვოლიერში არ მოათავსებდნენ.

აქტივობა 3. მოსწავლეები კითხულობენ ირმა მალაციძის მოთხრობას ,,თეთრი ბელი და ყინულოვანი ოკეანე". კითხვა ხდება ,,ფოკუსირებული კითხვის" სტრატეგიის გამოყენებით.

ირმა მალაციძე

თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკეანე

თეთრი ბელი თავის მშობლებთან, თეთრ დათვებთან ერთად დედამიწის ყველაზე თეთრ კუნძულზე ცხოვრობდა. წელიწადის ნებისმიერ დროს ირგვლივ თოვლი იდო, ყინვა უჭერდა და ყველაფერს თეთრად გაუდიოდა ქათქათი. და საერთოდ, თეთრ ბელს სხვა ფერი არასოდეს ენახა, თუ ცისფერ ცას და ხანდახან გამოჩენილი მზის ოქროსფერ სხივს არ ჩავთვლით, რომელზეც თოვლი ისე ბრწყინავდა, რომ თვალის გასწორება დათვებსაც კი უჭირდათ. მისი წინაპრები ისე იბადებოდნენ და კვდებოდნენ, რომ არ იცოდნენ, არსებობდა თუ არა ამ ქვეყნად ისეთი ფერადი და ლამაზი სამყარო, რომელშიც, მაგალითად, ჩვენ ვცხოვრობთ.

წესით, არც ჩვენი ბელი უნდა ყოფილიყო გამონაკლისი, მაგრამ ერთი უცნაური ამბის შემდეგ წარმოდგენა შეეცვალა – მან სიზმარი ნახა, საოცარი, ლამაზი, ფერადი სიზმარი, რომელშიც ხეები მწვანე იყო, ყვავილები წითელ-ყვითელი, ზღვა – ლურჯი და ყველაფერი ერთად – ისეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ ბელს მოსვენება დაეკარგა. გაღვიძებისთანავე მოუყვა მშობლებს თავისი სიზმრის შესახებ და სთხოვა, იმ ქვეყანაში წამიყვანეთ, სადაც ასეთი ფერებიაო. შეწუხდნენ დედა და მამა დათვები – ჩვენი სახლი აქ არის და ვერსად ვერ წავალთ. და საერთოდ, წარმოდგენა არ გვაქვს, არის თუ არა სადმე ასეთი ქვეყანაო – აიჩეჩეს მათ მხრები.

დაღონდა ბელი, ძალიან დაღონდა, ატირდა. თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა, რომელიც მაშინვე ყინულის პატარა ნამცეცებად იქცა. უცებ სად იყო და სად არა, თოლია მოფრინდა.

-რამ დაგაღონა, რად ტირი? – შეეკითხა თოლია ბელს.

-ფერად ქვეყანაში მინდა წასვლა. – შესჩივლა ბელმა.

-შენ საიდან იცი, რომ ასეთი ქვეყანა არსებობს? – გაოცდა თოლია.

-ვიცი, სიზმარში ვნახე. მეც მინდა ლამაზი ფერების ნახვა, – მოუმატა ტირილს ბელმა.

თოლიამ ამოიოხრა და სადღაც გაფრინდა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი და... თოლია ისევ დაბრუნდა. ნისკარტით უცნაური კოლოფი მოიტანა. კოლოფში მრგვალი, ფერადი საღებავები და ფუნჯი ეწყო. მისცა ბელს და უთხრა.

-ახლა შეგიძლია შენ თვითონ მოხატო შენი კუნძული.

გაიხარა ბელმა. აიღო ფუნჯი და თოვლზე ყვავილები მიახატა. მერე მწვანე საღებვით ბალახიც დახატა, ბუჩქებიც, ლურჯით – პატარა რუ. მალე მთელი კუნძული გააფერადა. ირგვლივ ისეთი სილამაზე იყო, დათვები გაოცებას ვერ ფარავდნენ. გამხიარულდა, აჭრელდა შავ-თეთრი კუნძული. აქამდე თუ მოწყენილობა სუფევდა, ახლა ყველა გამოცოცხლდა. ყველაზე მეტად ბელს უხაროდა. მოსწონდა გარემო და თავს ისე გრძნობდა, თითქოს თავის ლამაზ სიზმარში დაბრუნდაო.

იმის შემდეგ აღარ დაუწუწნია, არც სამშობლოს დატოვებაზე დაუძრავს კრინტი. თოლიას დიდი მადლობა გადაუხადა და აღარასდროს აღარ უტირია. ამის შემდეგ მხოლოდ კარგ განწყობაზე იღვიძებდა, ვინაიდან იცოდა, რომ თვალს არ მოსჭრიდა ერთფეროვანი თეთრი სიკაშკაშე.

ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას - ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და დააკვირდით როგორია დათვი ამ მოთხრობაში.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ უნდა შეავსოთ **ცხრილის მეორე სვეტი.**

აქტივობა 4. მოსწავლეები კითხულობენ ეზოპეს იგავს ,,ორი მეგობარი“. კითხვა ხდება ,,ფოკუსირებული კითხვის“ სტრატეგიის გამოყენებით.

ორი მეგობარი
ეზოპე

გზაზე ორი მეგობარი მიდიოდა. უცებ დათვი შემოეფეთათ. ერთი თვალის დახამხამებაში ხეზე აძვრა და თავს უშველა, მეორე კი მიწაზე დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. დათვი მივიდა და დაყნოსა. კაცმა სუნთქვა შეიკრა, დათვი მკვდარს

არ ერჩოდა.

როცა დათვი თვალს მიეფარა, ამხანაგი ხიდან ჩამოვიდა და ძირს დარჩენილ ამხანაგს ჰკითხა: - დათვმა ყურში რა გიჩურჩულაო?

- **რა მიჩურჩულა და ისეთ კაცთან ნუ იმეგობრებ, ვინც გასაჭირში მიგატოვებსო,- უთხრა ამხანაგმა.**

ფოკუსირებული კითხვა - ყურადღებით წაიკითხეთ და დააკვირდით ამ მოთხრობაში როგორია დათვი.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს მაშ როგორი ყოფილა ამ მოთხრობაში დათვი? რა გაიგე ახალი დათვზე?

ტექსტის წაკითხვის შემდეგ უნდა შეავსოთ **ცხრილის მესამე სვეტი.**

აქტივობა 5: მოსწავლეები კითხულობენ მედიიდან ადაპტირებულ ტექსტს. კითხვა ხდება ,,ფოკუსირებული კითხვის“ სტრატეგიის გამოყენებით.

დათვი

დათვი თანამედროვე მტაცებლების ყველაზე დიდი სახეობაა. მას ხშირი ბალნით შემოსილი მასიური სხეული, მძლავრი კიდურები, დიდი თავი, პატარა ყურები და მოკლე კუდი აქვს. მეტწილად ერთი ფერისანი არიან- თეთრი, მურა, შავი, რუხი. ზოგს ყელზე და მკერდზე თეთრი ხალი აქვს. ბინადრობენ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში. უმრავლესობა უღრან ტყეში, ზოგი ღია ადგილებში, ერთი სახეობა, თეთრი დათვი, არქტიკაში. გამოსადეგია დათვის ხორცი, ტყავი, ცხიმი.

საქართველოს ტყეების ბინადარია მურა დათვი. ეს სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში. დათვი ყველაზე დიდი ზომის მტაცებელია საქართველოში. მისი სხეულის სიგრძე 2,5 მ-მდე, მასა 480 კგ-მდე აღწევს.

ტყიბულის რაიონის სოფელ ჯვარისაში მოხდა 4 თავდასხმა, რა დროსაც დათვმა იმსხვერპლა ორი ღორი, ერთი ძროხა და მეოთხე შემთხვევაში ყანაში შეჭრილმა დათვმა გაანადგურა მოსავლის დიდი ნაწილი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დათვი ღამე შეიჭრა სოფელში, ეზოებში არსებული საღორეები თავისი ფიზიკური ძალის გამოყენებით იმდენად დააზიანა, რომ მოახერხა იქიდან დამწყვდეული ღორების გამოყვანა.

მართალია დათვი მტაცებლების რიცხვს ეკუთვნის, მაგრამ სხვა მტაცებლებისაგან განსხვავებით, ყველაზე ნაკლებად ჭამს ხორცს და ძირითადად , ხილით, კენკრით, ბოლქვებით, სოკოებით, თხილითა და რკოთი იკვებება. ამას ამატებს მწერებსა და თაფლს. დათვი ასევე მიირთმევს პატარა ძუძუმწოვრებსა და ქვეწარმავლებს, თუკი მათ შენიშნავს და დაიჭერს. ძალების აღსადგენად დათვი გარეულ ღორზე ნადირობს. დათვები აგრეთვე მიირთმევენ ლეშსაც.

დათვების უმეტესობა აქტიურია დღისით და თითქმის მთელ დღეს საკვების ძებნას უთმობენ. მათ ძალიან კარგი ყნოსვა აქვთ. სიარულისას, დათვი დროდადრო ჩერდება, უკანა თათებზე ჯდება და ცდილობს სუნით ნაკვალევი აღმოაჩინოს.
დათვი ჩვეულებრივ, მძიმედ მოძრაობს. იგი გადაადგილდება ოთხივე კიდურით. თუმცა საფრთხის შემთხვევაში ჩქარი სირბილიც შეუძლია. ამ დროს მისი სიჩქარე 50-60 კმ/სთ-ს

აღწევს. დათვების შედარებით პატარა სახეობები კარგი მცოცავები არიან მათ ხშირად ნახავთ ხეზე ასულს და იქ დაძინებულს. დათვები შესანიშნავი მეთევზეები არიან და ბანაობაც ძალიან უყვართ.

ზამთრისათვის, რომელსაც დათვი, ჩვეულებრივ, ძილში ატარებს. როგორც კი პირველი თოვლი გამოჩნდება, დათვი მოძებნის ბუნაგს, გაავსებს მას ბალახებით, ხავსით, ხმელი ტოტებით და ფოთლებით და ხანგძლივი ძილისათვის ამზადებს. ბუნაგი ხშირად გამოქვაბულებში, მღვიმეებში, კლდის ქვეშ ან დიდი ხეების ძირში აქვთ.

თეთრი დათვები მსოფლიოში უდიდესი დათვები არიან. ისინი არქტიკის ზღვაში მოტივტივე ყინულების გასწვრივ ცხოვრობენ და სელაპებზე ნადირობენ. თეთრ დათვებს სხეულთან შედარებით დიდი თათები აქვთ, რომლებზეც მათი სხეულის სიმძიმე ნაწილდება. გაყინვისაგან კანქვეშა ქონის სქელი ფენა და ძალიან ხშირი ბეწვი იცავს.

გამოყენებული ლიტერატურა:
,,ცხოველთა სამყარო“ - სუზანა დევიდსონი და მაიკ ანვინი
,, ჩემი პირველი ენციკლოპედია“ - ელფის გამომცემლობა
,,დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“
http://moe.gov.ge/files/PDF%20%20qartuli/news/eqspertis%20daskvna%20datvi%20yvareli%20da%20tyinbuli.pdf
http://hunters.ge/gareuli-cxovelebi/180-datvi.html
http://www.bearsmart.com/about-bears/dispelling-myths

ფოკუსირებული კითხვა - ყურადღებით წაიკითხეთ და დააკვირდით ამ მოთხრობაში როგორია დათვი.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს მაშ როგორი ყოფილა ამ მოთხრობაში დათვი? რა გაიგე ახალი დათვზე?
ტექსტის წაკითხვის შემდეგ უნდა შეავსოთ **ცხრილის მესამე სვეტი.**

შენიშვნა: მოსწავლეებმა შესაძლოა ცხრილი შეავსონ, მასალების განხილვის დასრულების შემდეგ.

იხილეთ შევსებული ცხრილი

კითხვები	**მულტფილმებში**	**მოთხრობა ,,თეთრი დათვი და ყინულოვანი ოკეანე**	**მოთხრობა ,,ორი მეგობარი“**	**ადაპტირებულ ტექსტში**
დათვის გარეგნობა და თვისებები	სავარაუდო პასუხი - ნაცრისფერი, დიდი და საყვარელი	თეთრი ბელი, კეთილი, მეოცნებე	მურა დათვი, დიდი, საშიში, მტაცებელი	ხშირი ბალნით შემოსილი მასიური სხეული, მძლავრი კიდურები, დიდი თავი, პატარა ყურები

				და მოკლე კუდი აქვს. ის თანამედროვე მტაცებლების ყველაზე დიდი სახეობაა.
საცხოვრებელი გარემო	ტყე	ყინულოვანი ოკეანე	ტყე	ბინადრობენ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში, არქტიკაში. უმრავლესობა - უღრან ტყეებში, ზოგი ღია ადგილებში.
კვება	თაფლი,ხილი, ჭიანჭველა	არ ჩანს	ხორცისმჭამელი, არ ჭამს ლეშს.	ნაირმჭამელი. მიირთმევს ხორცს, თევზს, კენკრას, ბალახეულსა და თაფლს. აგრეთვე მიირთმევს ლეშსაც.

აქტივობა 6. დათვის შესახებ სხვადასხვა წყაროში მოცემული ინფორმაციის განხილვა.

თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ პასუხის გაცემა, მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს ისეთ შეკითხვებს, რომ საუბარი საჭირო ჩარჩოში მოაქციოს.

კითხვა: რა აღმოაჩინეთ , ყოფილა დათვი ისეთი კეთილი, როგორიცაა მულტფილმებში?
სავარაუდო პასუხი: არა. დათვი სულაც არ არის კეთილი და კაცთმოყვარე ცხოველი.

კითხვა: დღეს თქვენ დათვზე გაეცანით სხვადასვა სახის ინფორმაციას. როგორ ფიქრობთ, რომელი ინფორმაციაა ყველაზე სანდო და რატომ?
სავარაუდო პასუხი: - ყველაზე სანდოა ენციკლოპედიიდან ადაპტირებული ტექსტი, რადგან ის მეცნიერულ დაკვირვებასა და ნაშრომებზეა დაფუძნებული. ხოლო რაც შეეხება მულტფილმებს, ყველამ ვიცით რომ ეს ზღაპარია და ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. მხატვრული ნაწარმოებიც არ შეიძლება ჩაითვალოს სანდო წყაროდ, რადგან ის ავტორის სუბიექტურ აზრზეა დამოკიდებული.

ნინო ხვინგია
მტაცებელი ცხოველი დათვი
აქტივობა 7. მეთოდი 3.2.1.

დაწერეთ 3 რამ, რაც ისწავლეთ,

2 რამ , რამაც დაგაინტერესათ

და ერთი რამ, რაც გინდათ უკეთ გაიგოთ.

აქტივობა 8. მოსწავლეები აფასებენ ჩატარებულ გაკვეთილს. **ამ მიზნით მასწავლებელი სვამს კითხვებს:**

- საინტერესო იყო დღევანდელი გაკვეთილი?
- რა მოგეწონათ? რატომ?
- დღვანდელი გაკვეთილის შემდეგ როგორ მოიქცევით, ნებისმიერ ინფორმაციას გადაუმოწმებლად მიიღებთ როგორც ჭეშმარიტს , თუ გადაამოწმებთ სხვადასხვა წყაროებში?

შეფასება

შეფასების რუბრიკა

N	გვარი, სახელი	შემლო სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა, გაგება			შემლო ტექსტიდან ინფორმაციის მოძიება და რანჟირება			გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას			შემლო ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება. (მედიაწიგნიერების კომპეტენციის		
		კარგი	საშუალო	საჭიროებს განვითარებას	კარგი	საშუალო	საჭიროებს განვითარებას	კარგი	საშუალო	საჭიროებს განვითარებას	კარგი	საშუალო	საჭიროებს განვითარებას
1													
2													
3													
4													
5													
6													